განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება.

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობები, ასევე გადასახდელები, კერძოდ:

ა)„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის N563 განკარგულებით 3 000 000 ლარით და გადასახდელებში დაიგეგმოს გზების კაპიტალურ რეაბილიტაციაზე 1 666 320 ლარი სოფელ ნაკიეთში მდ.ოჟანურზე არსებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციაზე და სოფელ ქორთიდან ბოყვამდე გზის რეაბილიტაციაზე, ხოლო სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიაციაზე 1 333 680 ლარი ქ.ონში მდ.ჭალულას კალაპოტის წმენდა, ნაპირსამაგრის მოწყობა და სოფელ ჯინჭვისში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის დამცავი კედლის მოწყობა.

ბ) გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1 აპრილის N581 განკარგულებით 600 000 ლარით და გადასახდელებში დაიგეგმოს სოფელ გლოლაში მინი სტადიონის მშნებლობის სამუშოებზე 160 000 ლარი, სოფელ გომში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 200 000 ლარი, სოფელ ღარში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 140 000, სოფელ ირში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშოზე 100 000 ლარი.

გ) ბულგარეთის გრანტის ფარგლებში ბიბლიოთეკების თანამშრომლების ტრენინგის და პროექტის ვიდეო რგოლის მომზადების 36 400 ლარი.

2) განკარგულებების ფარგლებში ნარჩენი თავისუფალი თანხები, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 იანვრის N131 განკარგულებით ნარჩენი თანხა 15 703 ლარი და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით ნარჩენი თანხა 8 433 ლარი სულ 24 136 ლარი დაიგეგმოს შოვის მემორიალამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე.

3) შემცირებული იქნას ტენდერებიდან დარჩენილი ეკონომიებით შემდეგი სამუშაოები: სოფელ გლოლაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია 749 ლარით; სოფელ სამთისში სასმელი წყლის რეაბილიტაცია 4367 ლარით; ქალაქ ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეებში არსებული გარე განათების დეკორატიული სანათების ბოძების დამიწების მოწყობის სამუშაოები 841 ლარით; ქალაქ ონში გარე განათების რეაბილიტაცია ლამპიონების შეცვლა 600 ლარით; მუზეუმის ახალი შენობის სახურავის რეაბილიტაცია 1021 ლარით; შიდა სახელმწიფო მნიშვნ. გზის უზუნთა-საჩხერე-შქმერი-ონის მონაკვეთზე გადასახედის მოწყობა 1138 ლარით; სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა 238 ლარით; სოფელ უწერაში საკანალიზაციო სისტემის დასრულების სამუშაო 390 ლარით; სოფელ ლაჩთაში სანიაღვრე არხის მოწყობა 2050 ლარით; სტომატოლოგიური ოთახის მოწყობის დამატებიტი სამუშაოები 1490 ლარით; სოფელ ჭიორაში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაო 1162 ლარით; სოფელ ნაკიეთში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაო 1221 ლარით; საპროექტო მომსახურების ხარჯი 46 445 ლარით, სულ 61 712 ლარი.

სულ გსაწერი თანხა 61 712 ლარი დაიგეგმოს: ა) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის N 451 განკარგულებით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკომპენსაციო თანხა 7 494 ლარი; ბ) წილობრივი თანამონაწილეობით სოფელ მაჟიეთში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის 24 218 ლარი; დ) საქართველოს მთავრობის N581 განკარგულებით გათვალისწინებული სამუშოების თანამონაწილეობის თანხები 30 000 ლარი, კერძოდ: სოფელ გლოლაში მინი სტადიონის მშნებლობის სამუშოებზე 8 000 ლარი, სოფელ გომში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე

10000 ლარი, სოფელ ღარში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 7 000, სოფელ ირში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოზე 5 000 ლარი.

4) გადატანილი იქნას, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ქ.ონში დ. აღმაშენებლის შესახვევი N10-ში მდებარე საჭიდაო დარბაზის შენობის ბუნებრივი აირის მომხმარებლის ქსელის მოწყობის მომსახურება 1 909 ლარი; ქ.ონში ბეერშევას პარკში არსებული ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსში გამათბობელი სისტემის შეძენა-მონტაჟი 24 990 ლარი; სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის (საპილოტე პროგრამის ფარგლებში ქ. ხონში სამხედრო ნაწილში ცნობიერების ამაღლების მიზნით) 1 400 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 24 244 993 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი